

**რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების კომუნალური დავალიანებების  
დაფარვის პროგრამა**

**მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანს წარმოადგენს რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების კომუნალური დავალიანებების (ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერჯია) გადასახადზე შეღავათის დაწესება.

**მუხლი 2. პროგრამის სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლეთა შერჩევის წესი**

1. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). ბავშვისთვის მოითხოვება მხოლოდ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი. ამ პროგრამის მიზნებისთვის რეინტეგრირებული ბავშვი გულისხმობს 1-დან 18 წლამდე ბავშვს.

2. ბენეფიციარების პროგრამით სარგებლობა დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობაზე, პროგრამით დადგენილ კრიტერიუმებთან.

3. პროგრამით გათვალისწინებულია სავარაუდოდ 20 ოჯახის დახმარება.

4. პროგრამაში ჩართვის მსურველმა (ბავშვის მშობელი, ან წარმომადგენელი) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელზე;
- ბ) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოდან";
- გ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- დ) რეინტეგრირებული ბავშვის დაბადების მოწმობა;
- ე) წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი მშობელი არ არის);

5. გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

**მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი**

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტია 10 000,00 (ათი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	10 000,00 ლარი
---------	----------------

I კვარტალი	3 000,00 ლარი
II კვარტალი	3 000,00 ლარი
III კვარტალი	3 000,00 ლარი
IV კვარტალი	1 000,00 ლარი

2.პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება განხორციელდება პროგრამით მოსარგებლე ოჯახების ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაწეული კომუნალური გადასახადების (გაზი; ელ. ენერჯია) ხარჯების დაფარვით, ამ პროგრამით განსაზღვრული წლიური ლიმიტის ფარგლებში.

3.კომუნალური გადასახადების მიმდინარე დავალიანებების დაფარვა ხორციელდება სს "ენერჯო-პროჯორჯიასა" და შპს "სოკარ ჯორჯია გაზის" მიერ წარმოდგენილი ქვითრების საფუძველზე, ქვითრებში ასახული შესაბამისი თანხის ოდენობით.

4.ამ პროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა 500,00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით, რომლის გახარჯვის შესაძლებლობა ექნებათ 2018 წლის განმავლობაში. ამ მუხლით დადგენილი ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში, გადაჭარბებულ თანხას აანაზღაურებენ ბენეფიციარები.

5.2018 წლის დეკემბრის დავალიანებების გადახდა მოხდება 2019 წლის იანვარში, სს "ენერჯო-პრო ჯორჯიასა" და შპს "სოკარ-ჯორჯია გაზიდან" მოწოდებული ქვითრების საფუძველზე. (ამ პუნქტის მოქმედება გავრცელდეს მხოლოდ იმ ოჯახებზე, რომლებიც 2018 წელს სარგებლობდნენ არსებული პროგრამით და დეკემბრის თვეში პროგრამით დადგენილი ლიმიტი არ ჰქონდათ ამოწურული).

## მუხლი 5. პროგრამის შედეგი

ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახები მთელი წლის განმავლობაში ნაწილობრივ ან სრულად უზრუნველყოფილნი იქნებიან ბუნებრივი აირითა და ელექტრო ენერჯიით.

## მუხლი 6. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

### ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის  
პირველადი სტრუქტურული ერთეულის  
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური  
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი